განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

2020 წელს ახალი კორონავირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი რყევები გამოიწვია გლობალურ ეკონომიკაში. ბუნებრივია პანდემიამ ეკონომიკური რეცესია გამოიწვია საქართველოშიც, რის შედეგადაც მივიღეთ რეალური ეკონომიკური კლება 6,2%-ის ოდენობით.

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი დამტკიცდა გასული წლის დეკემბერში, რა დროსაც საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID-19 გავრცელების მაჩვენებელი ყველაზე მაღალ ნიშნულზე იყო და შესაბამისად მნიშვნელოვანი შეზღუდვები მოქმედებდა, რაც დიდ გავლენას ახდენდა ეკონომიკის განვითარებაზე.

2020 წლის ბოლოსთვის არსებული ვითარების გათვალისწინებით ეკონომიკის მყისიერი აღდგენის მოლოდინები არ არსებობდა და 2021 წლის ბიუჯეტიც დაიგეგმა მეტწილად პანდემიის მართვისა და მისი გავრცელების შესაკავებლად დაწესებული შეზღუდვების ეფექტის ნაწილობრივ გასანეიტრალებლად. ბიუჯეტი, შეზღუდული ფისკალური რესურსის მიუხედავად, ითვალისწინებდა მოსახლეობის და ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დაფინანსებას.

2021 წელი საკმაოდ მძიმე ეკონომიკური ტენდენციებით დაიწყო და იანვარში რეალური ეკონომიკის კლებამ 11,5%, ხოლო თებერვალში 5,1% შეადგინა. ეკონომიკური განვითარების ტენდენციებში დადებითი დინამიკა პირველად მარტში დაფიქსირდა, თუმცა ჯამურად, პირველ კვარტალში ეკონომიკური კლების მაჩვენებელმა 4,5% შეადგინა.

ეკონომიკური პარამეტრები რადიკალურად შეიცვალა აპრილიდან, რა დროსაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტ-იმპორტის, დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვების, საფინანსო სექტორის ზრდის, წმინდა ფულადი გზავნილების და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები. საბოლოო ჯამში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა აპრილში 44,8% შეადგინა. მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები შენარჩუნდა მაისშიც და შედეგად ეკონომიკურმა ზრდამ 25,8% შეადგინა. ჯამში წინასწარი მონაცემებით 5 თვის ეკონომიკური ზრდა 11,5%-ს შეადგენს.

დადებითი ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტისათვის მაისში წარდგენილ 2022-2025 წლების ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებში 2021 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი ერთხელ უკვე განახლდა და 6,5% შეადგინა, თუმცა მაისის და ივნისის მაჩვენებლების გათვალისწინებით საბაზო სცენარში კიდევ ერთხელ გაიზარდა აღნიშნული მაჩვენებელი და 2021 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 7,7%-ს შეადგენს.

ფაქტიური მაჩვენებლების გათვალისწინებით, გადაიხედა მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის პროგნოზიც, რაც 7,5%-ს შეადგენს. რეალური ეკონომიკური ზრდისა და მშპ-ის დეფლატორის განახლებული პროგნოზების მიხედვით გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მაჩვენებელი 57,2 მლრდ ლარს შეადგენს.

ეკონომიკური აღდგენის პარალელურად დღის წესრიგში დადგა 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების მომზადება. ბიუჯეტის წარმოდგენილი ცვლილებები ორიენტირებულია 3 ძირითადი მიზნის მიღწევაზე, კერძოდ:

- **დეფიციტის შემცირება** - პანდემიიდან გამომდინარე 2020 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა საბიუჯეტო დეფიციტი და მშპ-ს 9,3%-ს მიაღწია. 2021 წლის ბიუჯეტიც საკმაოდ მაღალი, 7,6%-იანი დეფიციტით დაიგეგმა. 2 წლის განმავლობაში დეფიციტის მაღალმა მაჩვენებელმა გამოიწვია მთავრობის ვალის ზრდაც და შესაბამისად ამ მაჩვენებელმა მშპ-ს 60%-ს მიაღწია. ეკონომიკური აღდგენის პარალელურად, გაზრდილი შემოსავლების ნაწილობრივ მიმართვა დეფიციტის შესამცირებლად უმნიშვნელოვანესია, ქვეყნის ფისკალური დისციპლინის მიმართ მაღალი ნდობის და შესაბამისად მომდევნო წლებში სტაბილური ეკონომიკური ზრდის შესანარჩუნებლად;
- **ეკონომიკური აღდგენის ხელშეწყობა** - იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წლის თავდაპირველი ბიუჯეტი ძირითადად ანტიკრიზისული ღონისძიებების დაფინანსებაზე იყო ორიენტირებული, წარმოდგენილი ცვლილებებით გათვალისწინებულია ეკონომიკის აღდგენის ხელშემწყობი პროგრამების დაფინანსების გაზრდა. ბიუჯეტის ცვლილებები ითვალისწინებს როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ზრდას, ასევე სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის მწარმოებლური სექტორის ხელშემწყობი პროგრამების დაფინანსებას;
- **COVID-19-ის მართვა და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები** - წარმოდგენილი ცვლილებებით გაზრდილია პანდემიის მართვასთან დაკავშირებული ჯანდაცვის დანახარჯების დაფინანსება, შესაბამისად ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში დამატებითი თანხებია გათვალისწინებული ინფიცირებულთა მკურნალობის, ვაქცინაციის და ზოგადად პანდემიის მართვისთვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად.

ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, წარმოდგენილი ცვლილებებით გაუმჯობესებულია ძირითადი ფისკალური პარამეტრებიც. კერძოდ, საბიუჯეტო დეფიციტის მაჩვენებელი მცირდება მშპ-ის 6,9 პროცენტამდე, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი მშპ-ს 54,6 პროცენტამდე.

ბიუჯეტთან ერთად ასევე წარმოდგენილია ოპტიმისტური სცენარიც, რომლის რეალიზების ალბათობაც საკმაოდ მაღალია. ოპტიმისტური სცენარის მიხედვით ეკონომიკური ზრდა გადააჭარბებს 10%-ს და ნომინალურ გამოხატულებაში 58,8 მლრდ ლარს მიაღწევს. ამავდროულად კიდევ უფრო შემცირდება ბიუჯეტის დეფიციტი და ვალის მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებაში. კერძოდ, ოპტიმისტური სცენარის განვითარების შემთხვევაში, ბიუჯეტის დეფიციტი შესაძლებელია შემცირდეს მშპ-ის 6,2%-მდე, ხოლო მთავრობის ვალი მშპ-ს 53,1%-ის ფარგლებში.

გასათვალისწინებელია, რომ 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის წინამდებარე ვარიანტი არ შეცვლილა საქართველოს პარლამენტისათვის პირველად წარდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ნორმატიულ აქტში ცვლილების (ცვლილების (ცვლილებების) ან/და დამატების (დამატებების) შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით, შესაბამისად „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება უნდა განხორციელდეს კანონით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგი:

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მე-40 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება.

ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური მაჩვენებლები

განახლებული მაკროეკონომიკური პარამეტრების მიხედვით, 2021 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი თავდაპირველი 4.3%-დან იზრდება 7.7%-მდე. ასევე იზრდება მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი 3,8%-დან 7.5%-მდე.

2021 წლისთვის განახლებული ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი შეადგენს 57,2 მლრდ ლარს, ნაცვლად გასული წლის დეკემბრის პროგნოზით არსებული 53,4 მლრდ ლარისა.

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ პარამეტრებთან მიმართებაში გასათვალისწინებელია, რომ:

- ✓ დეფიციტი კვლავ რჩება კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე (3%) მაღლა და 2021 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო შეადგენს 3 971.1 მლნ ლარს, რაც პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 6.9%-ია (თავდაპირველი გეგმით გათვალისწინებული იყო 7.7%) და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, 2023 წელს უბრუნდება 3%-ზე დაბალ ნიშნულს, ხოლო საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოსათვის ჩამოცდება მშპ-ის 2.5%-ს;
- ✓ 2021 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალისთვის დადგენილი ზღვრული მოცულობა აღარ აჭარბებს კანონით განსაზღვრულ 60%-იან ზღვარს და მშპ-ის 54.6%-ია, მათ შორის მთავრობის ვალი შეადგენს 53.9%, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით), საორიენტაციო შეფასებით მშპ-ის 0.7%-ია. ამასთან საშუალოვადიან პერიოდში პროგნოზირებულია, რომ მთავრობის ვალი (PPP ვალდებულებების გარეშე) ჩამოცდება მშპ-ის 50%-იან ნიშნულს.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები

დაგეგმილთან შედარებით მაღალი ეკონომიკური ტენდენციები შესაძლებლობას იძლევა გაიზარდოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების დაგეგმილი მაჩვენებლები, კერძოდ:

- საგადასახადო შემოსავლები ჯამში იზრდება 877,0 მლნ ლარით და 12 922,0 მლნ ლარს შეადგენს. გადასახადების გაზრდილი მაჩვენებლიდან 720,3 მლნ ლარი მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 156,7 მლნ ლარი ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში;
- გრანტების გეგმა იზრდება 100,0 მლნ ლარით და 457,0 მლნ ლარს შეადგენს (ზრდა სრულად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში);
- სხვა შემოსავლების მაჩვენებელი განისაზღვრება 1 200,0 მლნ ლარით, რაც დაგეგმილთან შედარებით 200 მლნ ლარით მეტია, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაწილში ზრდა შეადგენს 250,0 მლნ ლარს, ხოლო მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ნაწილში, ფაქტიური შესრულების გათვალისწინებით მცირდება 50,0 მლნ ლარით;
- არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) მაჩვენებელი იზრდება 230,0 მლნ ლარის ოდენობით, საიდანაც 200,0 მლნ ლარი მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 30,0 მლნ ლარი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში. ჯამში აღნიშნული მაჩვენებელი 480,0 მლნ ლარს შეადგენს;
- ფინანსური აქტივების კლების (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი იზრდება 60,0 მლნ ლარით და 210,0 მლნ ლარს შეადგენს (ზრდა სრულად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში);

- ვალის აღების მაჩვენებელი მცირდება 154,9 მლნ ლარით.

აღნიშნული მაჩვენებლების გათვალისწინებით ნაერთი ბიუჯეტის არადეფიციტური შემოსულობები (ვალის აღების გამოკლებით) ჯამში იზრდება 1 467,0 მლნ ლარით, ხოლო ჯამური შემოსულობები 1 312,1 მლნ ლარით და შეადგენს 20 363 მილიონ ლარს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** ჯამური მაჩვენებელი იზრდება 1 174.9 მლნ ლარით და შეადგენს 17 933.1 მლნ ლარს, მათ შორის:

- **შემოსავლები - 12 249.0 მლნ ლარი** (დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 1 069.8 მლნ ლარით);

  - **საგადასახადო შემოსავლები** შეადგენს 11 062.6 მლნ ლარს, რაც დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში გაზრდილია 720.3 მლნ ლარით, მათ შორის:

    - ✓ **საშემოსავლო გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრება 3 405.0 მლნ ლარით (იზრდება 90.0 მლნ ლარით)
    - ✓ **მოგების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 951.0 მლნ ლარით;
    - ✓ **დამატებული ღირებულების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 746.6 (იზრდება 399.3 მლნ ლარით);
    - ✓ **აქციზის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 800.0 მლნ ლარის ოდენობით (იზრდება 218.0 მლნ ლარით);
    - ✓ **იმპორტის** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 80.0 მლნ ლარით (იზრდება 3.0 მლნ ლარით);
    - ✓ **სხვა გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრება 80.0 მლნ ლარით (იზრდება 10.0 მლნ ლარით).

- **სხვა შემოსავლების** პროგნოზი იზრდება 250.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 800.0 მლნ ლარის ოდენობით. ზრდაში ასახულია:

  - ✓ 70 მლნ ლარი - საპროცენტო შემოსავლის სახით;
  - ✓ 50 მლნ ლარი - სს „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გადასახდელი დივიდენდი. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ სს „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ რეაბილიტაციის პერიოდში ზედმეტად გადახდილი თანხების უკან დაბრუნების ვალდებულების გათვალისწინებით, ხარჯვით ნაწილში ასახულია შესაბამისი სახსრები „წინა წლებში წარმოქნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდში“;
  - ✓ 40 მლნ ლარი - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამატებით გადახდილი დივიდენდი;
  - ✓ 50 მლნ ლარი - ბუნებრივი რესურსების ლიცენზიებიდან მისაღები შემოსავლები;
  - ✓ სათამაშო ბიზნესიდან დამატებით 15 მლნ ლარის მობილიზება;
  - ✓ ფაქტიური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ჯარიმებიდან დამატებით 15 მლნ ლარის მობილიზება.
  - ✓ სხვა შემოსავლების დანარჩენი კატეგორიებიდან პროგნოზირებულია დამატებით 10 მლნ ლარის მობილიზება;

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 386.4 მლნ ლარით, დამატებით მობილიზებული 100 მლნ ლარი წარმოადგენს საჯარო სამართლის

იურიდიული პირებიდან მისაღებ სახსრებს. აღნიშნულლი თანხიდან 90 მლნ ლარის მობილიზება ხორციელდება სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონების“ შესაბამისად;

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა იზრდება 200.0 მლნ ლარით და შეადგენს 350.0 მლნ ლარს, რაშიც ასახულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაწყებული აქტიური პრივატიზების პროცესიდან მისაღები დამატებითი სახსრები;

- **ფინანსური აქტივების კლების** (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი განისაზღვრება 210 მლნ ლარის ოდენობით (იზრდება სს „სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ დასაფარი ვალდებულებების ფარგლებში გადასახდელი 60 მლნ ლარით);

- **ვალდებულებების ზრდის** სახით მისაღები სახსრები განისაზღვრება 5 124.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც 154.9 მლნ ლარით ნაკლებია თვდაპირველ გეგმიურ მჩვენებელზე, მათ შორის:
    - საშინაო ფასიანი ქაღალდების წმინდა გამოშვება განისაზღვრება (-150) მლნ ლარით, ანუ დაგეგმილია საშინაო ვალის შემციირება;
    - საინვესტიციო კრედიტების მაჩვენებელი, მცირდება 61.1 მლნ ლარით და შეადგენს 1 389,8 მლნ ლარს;
    - საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტების მაჩვენებელი იზრდება 56,2 მლნ ლარით (ევრობონდის ფაქტიური გამოშვების ეროვნულ ვალუტაში კონვერტაციის სრულად ასახვიდან გამომდინარე) და შეადგენს 3 884,2 მლნ ლარს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

წარმოდგენილი ცვლილებით სახელწიფო ბიუჯეტის ასიგნებები ჯამურად შეადგენს 19 498.8 მლნ ლარს, რაც დამტკიცებული გეგმასთან შედარებით გაზრდილია 1 114.2 მლნ ლარით. ზრდა ძირითადად გამოწვეულია COVID-19-ის მართვის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის ღონისძიებების, ასევე ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დაფინანსების გაზრდით. კერძოდ:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები განისაზღვრა 6 093,0 მლნ ლარით, რაც თავდაპირველ დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 600 მლნ ლარით. მათ შორის გათვალისწინებულია:

- ✓ COVID-19-ის მართვასთან (სამედიცინო დაწესებულებების მობილიზება, მკურნალობის ხარჯები, ტესტირება და კვლევები, ვაქცინაცია და სხვა) დაკავშირებით ბიუჯეტი იზრდება 446 მლნ ლარით და შეადგენს 846 მლნ ლარს, მათ შორის COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ფარგლებში არსებული გეგმის მიხედვით მოსახლეობის 60%-ის აცრისთვის საჭირო ვაქცინების შესყიდვის ხარჯებისათვის გათვალისწინებულია 150.0 მლნ ლარზე მეტი.
- ✓ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შეუფერხებელი განხორციელებისათვის სამინისტროს ბიუჯეტის ასიგნებები იზრდება 44 მლნ ლარით;
- ✓ 2021 წლის 1 ივლისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარების 50 ლარიდან 100 ლარამდე ზრდასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად „მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება“ პროგრამის ასიგნება იზრდება 75 მლნ ლარით. ამასთან, ბავშვების დახმარების ფარგლებში სოციალური ქულა ნაცვლად 100 000-ისა განისაზღვრება 120 000-ით;
- ✓ „იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა“ პროგრამის ფარგლებში ასიგნება იზრდება 35.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 96,8 მლნ ლარის

ოდენობით, რაც ითვალისწინებს დევნილთა და ეკომიგრანტთა სახლების შესყიდვას და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნებები 2021 წლის თავდაპირველ გეგმასთან შედარებით იზრდება 36.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 642.8 მლნ ლარის ოდენობით. მათ შორის **ეკონომიკის ხელშეწყობის მიმართულებით** გათვალისწინებულია:

- ✓ „მეწარმეობის განვითარება“ პროგრამის ასიგნება იზრდება 55.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 357.2 მლნ ლარის ოდენობით, რაც გამოწვეულია საწარმოთა კრედიტების თანადაფინანსების ზრდით და საგრანტო პროექტების განხორციელების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსებით;
- ✓ „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა“ პროგრამის ასიგნება იზრდება 10.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 17.7 მლნ ლარის ოდენობით, რაც დაკავშირებულია ტურისტული მარკეტინგის ღონისძიებების დაფინანსებით;
- ✓ ამასთან, მცირდება საკარანტინე მომსახურების ხარჯები 29 მლნ ლარით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებები 2021 წლის თავდაპირველ გეგმასთან შედარებით იზრდება 177.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 628.6 მლნ ლარის ოდენობით. მათ შორის გათვალისწინებულია:

- ✓ „ერთიანი აგროპროექტი“ პროგრამის დაფინანსების ზრდა 74.0 მლნ ლარით (განისაზღვრება 280.7 მლნ ლარის ოდენობით). პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების, აგროდაზღვევისა და შეღავათიანი აგროკრედიტების დაფინანსების გაზრდა;
- ✓ 2021 წლის რთველის შეუფერხებელი ჩატარების მიზნით რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად გათვალისწინებული ასიგნებები იზრდება 100.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 138.4 მლნ ლარით.
- ✓ ამასთან სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს რიცხვონობა იზრდება 35 საშტატო ერთეულით, რაც გამოწვეულია საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებების შესაბამისად ახალი დაცული ტერიტორიების დაფუძნების და არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოების (ერუშეთის დაცული ტერიტორია, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის და ჯავახეთის დაცული ტერიტორიის გაფართოება) შესაბამისად დამატებითი რეინჯერების აყვანის საჭიროებით;

განათლების და მეცნიერების მიმართულების დაფინანსება იზრდება 40.0 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია COVID-19 თან დაკავშირებით დისტანციური სწავლების და პირადი დაცვის საშუალებების შესყიდვის, მოსწავლეთათვის კომპიუტერების შესყიდვის, ახლად დასრულებული სკოლების აღჭურვის, მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველსაყოფის და სახელმძღვანელოების ბეჭდვის ხარჯებში არსებული დამატებითი საჭირობებით.

კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებით დაფინანსება იზრდება 31.0 მლნ ლარით, მათ შორის ზრდა ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ COVID-19 პანდემიის გავრცელების მიუხედავად საქართველოს აქტიურად მონაწილეობს დაგეგმილ ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში და სპორტსმენების მიერ მიღწეული შედეგების გათვალისწინებით იზრდება საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრთა, მწვრთნელთა, ადმინისტრაციული და საექიმო პერსონალის და პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიების დაფინანსება (15.0 მლნ ლარით), რაგბის მხარდაჭერის ღონისძიებები (10.0 მლნ ლარით), საქართველოში საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (4.0 მლნ ლარით). ასევე, 1 მლნ ლარით იზრდება რეგიონებში კულტურული ღონისძებების მიმართულებით დაგეგმილი პროექტების დაფინანსება და ლევილის მამულის (Leuville-sur-Orge)

რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება გადმოდის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაქვემდებარებაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან და შესაბამისი ასიგნებების (3.5 მლნ ლარი) ასახვა ხდება სამინისტროს განკარგვაში არსებულ პროგრამულ კოდში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებები 2021 წლის თავდაპირველ გეგმასთან შედარებით იზრდება 90.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 2 456.6 მლნ ლარის ოდენობით. დამატებითი თანხები გათვალისწინებულია სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები" დასაფინანსებლად. გარდა ამისა, წარმოდგენილი ცვლილებებით ხორციელდება სამინისტროს დაფინანსების ფარგლებში დაგეგმილ პროექტებს შორის თანხების გადანაწილება;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ასიგნებები 2021 წლის თავდაპირველ გეგმასთან შედარებით იზრდება 30.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 930.0 მლნ ლარის ოდენობით. ზრდა გათვალისწინებულია თავდაცვის უწყებაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებისა და სხვა ლოჯისტიკური ღონისძიებების შეუფერხებლად განსახორციელებლად;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ასიგნებები 2021 წლის თავდაპირველ გეგმასთან შედარებით იზრდება 60.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 296.5 მლნ ლარის ოდენობით, რაც გამოწვეულია საერთაშორისო არბიტრაჟებში და საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის ხარჯების დაფინანსების ზრდით.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსება იზრდება 4.2 მლნ ლარით და განისაზღვრება 74.5 მლნ ლარის ოდენობით, რაც გამოწვეულია საოლქო საარჩევნო კომისიებში წევრების დამატებით გამოწვეული ხარჯების დაფინანსებით.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები ჯამურად იზრდება 46.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 4 814.3 მლნ ლარის ოდენობით. მათ შორის გათვალისწინებულია:

- ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსების ზრდა 130.0 მლნ ლარით (განისაზღვრება 410.0 მლნ ლარის ოდენობით), რაც ძირითადად მიიმართება მუნიციპალიტეტების მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად;
- ✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაფინანსება იზრდება 35.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 45.0 მლნ ლარით. ზრდა ძირითადად გამოწვეულია სს „სახელწმიფო ელექტროსისტემისადმი" წარმოქმნილი ვალდებულების ანაზღაურებით, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით წარმოქმნილია რეაბილიტაციის რეჟიმში საწარმოს მიერ ზედმეტად გადახდილი თანხებით;
- ✓ ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერების დაფინანსება იზრდება 1.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 226.0 მლნ ლარის ოდენობით, რაც გამოწვეულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გათვალისწინებული ტრანსფერის ზრდით.
- ✓ საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვისთვის გათვალისწინებული თანხა ჯამში მცირდება 120.0 მლნ ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტების დაფინანსება

გასათვალისწინებელია, რომ დაგეგმილთან შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდის და შესაბამისად გაზრდილი საგადასახადო შემოსავლების პროგნოზებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტები, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დღგ-ის გაზრდის შედეგად მიიღებენ 1 113.4 მლნ ლარს, რაც 93,7 მლნ ლარით აღემატება თავდაპირველ პროგნოზს:

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა (ათასი ლარი)
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი	45,32%	504 579,5
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	4,21%	46 828,5
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	1,22%	13 549,0
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	0,84%	9 335,8
ქედის მუნიციპალიტეტი	0,80%	8 898,1
შუახევის მუნიციპალიტეტი	0,03%	364,1
ხულოს მუნიციპალიტეტი	0,28%	3 160,1
ახმეტის მუნიციპალიტეტი	0,86%	9 590,3
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	1,13%	12 537,0
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	0,18%	2 016,7
თელავის მუნიციპალიტეტი	1,42%	15 790,0
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	1,04%	11 552,2
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	1,03%	11 439,8
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	0,49%	5 489,2
ყვარლის მუნიციპალიტეტი	0,54%	5 965,2
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი	3,48%	38 739,6
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	0,98%	10 913,3
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	0,47%	5 246,5
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	1,03%	11 477,1
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	0,56%	6 224,6
ვანის მუნიციპალიტეტი	0,58%	6 402,8
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	1,15%	12 796,4
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	0,81%	8 995,9
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	0,92%	10 204,9
საჩხერის მუნიციპალიტეტი	1,21%	13 509,6
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	0,54%	6 036,2
ხონის მუნიციპალიტეტი	0,56%	6 225,2
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი	0,44%	4 949,1
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	2,42%	26 921,9
აბაშის მუნიციპალიტეტი	0,51%	5 715,6
მარტვილის მუნიციპალიტეტი	0,81%	8 969,9
მესტიის მუნიციპალიტეტი	0,44%	4 873,2
სენაკის მუნიციპალიტეტი	0,86%	9 532,2
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	0,55%	6 110,6
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	0,63%	7 047,7
ხობის მუნიციპალიტეტი	0,43%	4 732,8
გორის მუნიციპალიტეტი	3,24%	36 038,0
კასპის მუნიციპალიტეტი	0,74%	8 275,1
ქარელის მუნიციპალიტეტი	1,03%	11 484,3
ხაშურის მუნიციპალიტეტი	1,29%	14 363,7
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი	2,82%	31 400,9
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	0,11%	1 274,2
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	0,25%	2 730,5
დმანისის მუნიციპალიტეტი	0,65%	7 192,4
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	0,65%	7 271,4
მარნეულის მუნიციპალიტეტი	1,52%	16 935,8
წალკის მუნიციპალიტეტი	0,18%	2 045,3
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	0,74%	8 211,1
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	1,45%	16 179,8

მუნიციპალიტეტების დასახელება	დამატებული ღირებულების გადასახადის განაწილება	
	დღგ-ის 19%-ის განაწილება	დღგ-ის საორიენტაციო მოცულობა (ათასი ლარი)
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	0,40%	4 400,4
ადიგენის მუნიციპალიტეტი	0,56%	6 262,8
ასპინძის მუნიციპალიტეტი	0,09%	964,8
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	0,09%	946,6
ახალციხის მუნიციპალიტეტი	1,13%	12 580,2
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	0,13%	1 419,8
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	0,36%	4 060,6
დუშეთის მუნიციპალიტეტი	0,63%	7 024,4
თიანეთის მუნიციპალიტეტი	0,54%	6 001,2
მცხეთის მუნიციპალიტეტი	0,54%	6 016,1
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	0,01%	127,4
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	0,67%	7 457,2
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	0,38%	4 183,3
ონის მუნიციპალიტეტი	0,45%	5 007,7
ცაგერის მუნიციპალიტეტი	0,61%	6 824,6
სულ ჯამი		**1 113 400,0**

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**2021 წლის პროექტი**
	სულ გადასახდელები	**19 498 746,8**
	საქართველოს სამინისტროები	**13 961 844,0**
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	88 900,0
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	642 815,0
25 00	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2 456 630,0
26 00	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	296 500,0
27 00	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	6 092 964,0
28 00	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	170 700,0
29 00	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	930 000,0
30 00	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	780 000,0
31 00	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	628 575,0
32 00	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	1 872 210,0
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	2 550,0
	სხვა უწყებები	**722 602,8**
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	64 736,0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	6 250,0
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	700,0
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	16 000,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	16 811,0
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	74 455,8
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4 250,0
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	12 500,0
09 00	საერთო სასამართლოები	86 000,0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	6 500,0
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	890,0
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	680,0
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	790,0
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	760,0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	650,0
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	640,0
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	650,0
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	880,0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	660,0
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	137 500,0
21 00	სსიპ - საპენსიო სააგენტო	3 400,0
33 00	საქართველოს პროკურატურა	41 400,0
34 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	13 800,0
35 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1 400,0
36 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	7 300,0
37 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	7 900,0
38 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2 150,0
39 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	260,0
40 00	საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური	60 400,0
41 00	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	8 500,0
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	69 200,0
43 00	სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო	2 400,0
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	2 460,0
45 00	საქართველოს საპატრიარქო	25 000,0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	7 000,0
47 00	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	10 120,0
48 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4 250,0
49 00	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1 430,0
50 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5 330,0

პროგრამული კოდი	დასახელება	2021 წლის პროექტი
51 00	სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური	9 000,0
52 00	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	450,0
53 00	სსიპ - საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტო	250,0
54 00	სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო	4 200,0
55 00	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	2 700,0
	საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	**4 814 300,0**
56 01	საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	3 028 000,0
56 02	საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	570 000,0
56 03	საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებები	4 500,0
56 04	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერები	226 000,0
56 05	საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი	40 000,0
56 06	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	45 000,0
56 07	საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	410 000,0
56 08	მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	15 000,0
56 09	საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემის ფინანსური უზრუნველყოფა	200,0
56 10	საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საოპერაციო ხარჯებისა და სხვა ვალდებულებების თანადაფინანსება	700,0
56 11	დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსება	220 000,0
56 12	საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა	5 000,0
56 13	დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები	219 900,0
56 14	2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტებში	30 000,0

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

პროექტი შეესაბამება არსებულ სამთავრობო პროგრამას და ხელისუფლების მიერ COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებით შემუშავებულ ანტიკრიზისულ გეგმას.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია კანონის გამოქვეყნებისთანავე.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ასეთი არ არსებობს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი სამი წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონის პროექტი განსაზღვრავს მხოლოდ 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულ ასიგნებებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამებისათვის;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონის პროექტი განსაზღვრავს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონის პროექტი ვრცელდება 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ბენეფიციარებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონის პროექტი ითვალისწინებს 2021 წლის 1 ივლისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარების 50 ლარიდან 100 ლარამდე ზრდასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას. ამასთან, ბავშვების დახმარების ფარგლებში სოციალური ქულა ნაცვლად 100 000-ისა განისაზღვრება 120 000-ით;

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების

არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებს. აგერეთვე, კანონპროექტი არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადებისათვის გამოყენებული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები, ასევე ცვლილებების ძირითადი არსი შეთანხმებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა